სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ - პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, Proceedings of Sokhumi State University, Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XIX, 2020- 2021 წელი

ხათუნა ამაღლობელი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.46

„ცხოვრების ფილოსოფიური წესი“ როგორც ადამიანის კულტურის მახასიათებელი (კარლ იასპერსის „ფილოსოფიის შესავალი“-ს მიხედვით)

აბსტრაქტი. ნაშრომი ეხება ადამიანური ყოფიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას: იმ კულტურული პრაქტიკის გააზრებას, რომელიც მისი ცხოვრების განმსაზღვრელია. საკითხის გაშლა გერმანელი ფსიქიატრისა და ფილოსოფოსის, კულტურის „ღერძული დროის“ ავტორის კარლ იასპერსის შეხედულებათა გააზრების და ანალიზის საფუძველზე ხდება. მოაზროვნე თვლის, რომ მხოლოდ ფილოსოფია, როგორც ჭეშმარიტების დადგენის ინდივიდუალური მცდელობა, აძლევს ადამიანს შანსს, ერთი მხრივ „იქცეს ადამიანად“, ხოლო მეორე მხრივ, იცხოვროს „გზაზე დგომის“ პრინციპით, რაც, თავის მხრივ, ადამიანის მიერ სინამდვილის კულტურულად კონსტრუირებისა და რეკონსტრუირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება, მის მიერ სამყაროს ინტერპრეტაციის, გაგებისა და გააზრების საშუალებაა.

ადამიანის არსის კარლ იასპერსისეული გააზრება, საინტერესო და მისაღებია, რამეთუ გზაზე დგომის პროცესი როგორც ცოცხალი აზროვნების განხორციელება, იმავდროულად ამ აზროვნებაზე რეფლექსიას ნიშნავს. საკუთარი თავის აღმოჩენასა და ფორმირებაზე კონცენტრირებული ადამიანი სინამდვილის თანაზიარი ხდება.საკუთარი თავის მუდმივი ქმნადობით ის კულტურულად გაფორმებს გარემომცველ სინამდვილეს და მას ღირებულებას ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: კარლ იასპერსი, „ფილოსოფიის შესავალი“, ადამიანი, კულტურა, ფილოსოფია, ცხოვრება, წესი, მახასიათებელი.

---

[1] **ხათუნა ამაღლობელი** - ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

Khatuna Amaglobeli[2]
Sokhumi State University

"Philosophical Way of Living" as a Characteristic of Human Culture (According to Karl Jaspers' "Introduction to Philosophy")

Abstract. The article revolves around one of the most significant problems of human existence: comprehending those cultural practices that define individual lives. Analysis is based on the close examination of specific concepts introduced by Karl Jaspers, a German psychiatrist and philosopher and an author of "The Axial Age" of culture. Jaspers maintains that only philosophy as an individual attempt to find the truth gives a person a chance to "become a human" on the one hand and to live according to the principle of "standing on the road" on the other hand, the latter constituting one of the most important means to culturally construe and reconstrue the truth, to interpret, understand, and comprehend the world.
Jaspers' views on human nature are interesting and noteworthy as the concept of "standing on the road" as a manifestation of active thinking also refers to the reflexion on active thinking. A person who tries to discover and mould himself/herself becomes one with the truth. By incessantly developing himself/herself, an individual grants a cultural value to the surrounding environment.
Keywords: Karl Jaspers, "Introduction to Philosophy", man, culture, philosophy, life, rule, characteristic.

ძირითადი კვლევა. კულტურა - ადამიანის და მხოლოდ ადამიანის ანთროპოლოგიური მახასიათებელია. ის მოიცავს ადამიანური საქ-მიანობის ყველა სფეროს და წარმოადგენს პრაქტიკათა ერთობლიობას, რომელიც „დროის განსაზღვრულ პერიოდში მცხოვრები ერის, კლასისა თუ ადამიანთა ჯგუფების ცხოვრების წესს" განაპირობებს (ტერ-მინასოვა 2017:19). კულტურშემოქმედებითი საქმიანობით ადამიანი ქმნის თავის თავს, როგორც უნიკალურ და თვითმყოფად არსებას. და მაინც, რომელია ის კულტურული დისკურსი, რომელშიც ტრიალებს ადამიანი? რომელია ის კულტურული პრაქტიკა, რომელიც განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს?

გერმანელი ფსიქიატრისა და ფილოსოფოსის, ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, კულტურის „ღერძული დროის" ავტორის კარლ იასპერსისათვის ფილოსოფია სამყაროზე ობიექტურ ჭეშმარიტებათა აღმოჩენის გზა კი არაა, არამედ ინდივიდუალური ბრძოლაა, ჭეშმარიტების დადგენის ინდივიდუალური მცდელობაა. ჭეშმარიტებასთან ზიარება

[2] **Khatuna Amaglobeli** - doctor of philosophy, professor of Sokhumi State University.

ადამიანმა მარტოოდენ საკუთარი ძალისხმევით უნდა შეძლოს, რადგან მხოლოდ ასე ეძლევა ადამიანს შანსი, ერთი მხრივ „იქცეს ადამიანად“, ხოლო მეორე მხრივ, იცხოვროს „გზაზე დგომის“ პრინციპით. სწორედ, ამაშია ცხოვრების ფილოსოფიური წესის არსი, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის მიერ სინამდვილის კულტურულად კონსტრუირებისა და რეკონსტრუირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, მის მიერ სამყაროს ინტერპრეტაციის, გაგებისა და გააზრების საშუალებაა.

კარლ იასპერსის ფილოსოფიური კვლევის ძირითადი მიზანია ყოფიერების, რომელიც ყოველი ყოფიერის მიღმაა, გააზრება. თუმცა, თავად ყოველი ყოფიერი მხოლოდ ყოფიერებით გაიგება. მეორენაირად: ყოფიერება ყველა (კონკრეტული) ყოფიერის მომცველია, ე.ი. მისი საფუძველი და მასზე მაღლა მდგომი, მასზე აღმატებულია. მისი როგორც მომცველის გააზრება მხოლოდ კონკრეტულის მეშვეობითაა შესაძლებელი. ეს ერთგვარი წრეა და მისი (წრის) გადალახვა შეუძლია მხოლოდ ადამიანს, როგორც ყოფიერთა შორის უარსებითსა და უძირითადეს. და თუ ჩვენ ამ უარსებითესი არსების - ადამიანის ამოცნობასა და შეცნობას შევძლებთ, ეს იქნება გზა თავად ყოფიერების აღქმის. კონკრეტული ადამიანის ამოცნობით მივალთ ყოფიერების ამოცნობამდე, სამყაროს აღქმამდე (თუნდაც გარკვეულ დონეზე).

როგორ გავიგოთ ყოფიერების აღქმადობა? ყოფიერება ზოგადად თუ როგორც სინამდვილე? რომელი ყოფიერებაა აღქმადი? არის თუ არა განსხვავება ყოფიერების მეცნიერულ აღქმასა და ფილოსოფიურს შორის?

ყოფიერების მეცნიერული აღქმა - ეს ყოფიერების საგნობრივად განსაზღვრაა; საგნობრივად განსაზღვრული ცოდნაა; შემეცნებული სინამდვილეა; ეს საგნობრივი სამყაროა „განსაზღვრული ყოფიერება „მე“- სთვის“(იასპერსი, 2019:28). ეს ისეთი ყოვლისმომცველია, „რაც ყოველთვის გვამცნობს საკუთარ არსებობას მხოლოდ ნაფიქრ ყოფიერებაში“(იასპერსი, 2019: 29). ეს შემეცნებული რეალობაა, რომელიც „ცოდნის სახით ახალი პრაქტიკისათვის ხდება ხელმისაწვდომი“(იასპერსი, 2019:70). სამყაროს/-რეალობას იმიტომ შევიცნობთ, რომ ის მნიშვნელობის მატარებელია ჩვენთვის და სწორედ იმიტომ, რომ ის მნიშვნელობს ადამიანისათვის, მას შევიცნობთ. „ყოფიერება ჩვენთვის - განმარტებული ყოფიერებაა“(იასპერსი, 2019: 100), წერს ავტორი. სამყარო გარკვეული ნიშანთა სისტემაა, რომელიც სიგნიფიკაციის პროცესს - აღმნიშვნელთან აღსანიშნის დაკავშირებას ეფუძნება. აღსანიშნი - სამყაროა მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ხოლო

აღმნიშვნელი - სამყაროს ის მატერიალური მხარე, რომელსაც აღვიქვამთ/-შევიცნობთ. აქედან გამომდინარე, განმარტებული ყოფიერება სამყაროს ის შეცნობილი მხარეა, რომელიც თუ მართებულია, მაშინ მას ობიექტური ხასიათი აქვს. ამდენად, განმარტება საშუალებაა, „რომლითაც გაცხადება ხდება“(იასპერსი, 2019: 74). თუმცა ის (განმარტება) არ გვაძლევს საშუალებას „უშუალოდ შევეხოთ აბსოლუტურ რეალობას“(იასპერსი, 2019: 74), „ყოფიერებას თავის თავში და ყოფიერებას მთლიანობაში“(იასპერსი, 2019:-75). ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღარ არსებობს სამყაროს აბსოლუტური სურათები და რომ შეუძლებელია სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით დავიყვანოთ რომელიმე ერთადერთ პრინციპზე. „სამყაროული ყოფიერება მთლიანობაში არ წარმოადგენს შემეცნების საგანს“(იასპერსი, 2019:75).

ყოფიერების ფილოსოფიური ცოდნა კი „თავად ყოფიერებაში შეღწევას ნიშნავს“ (იასპერსი, 2019: 75). ყოფიერებაში შეღწევა საგნობრივი აზროვნების მეშვეობით უნდა მოვიპოვოთ. საგნობრივი აზროვნების მატარებელი, ბუნებრივია, ადამიანია. ამიტომ ადამიანისათვის, როგორც ეგზისტენციისათვის „თავად ყოფიერებაში შეღწევა“ ნიშნავს იმ ყოვლისმომცველში შეღწევას, რომელიც არსებობს როგორც ტრანსცენდენცია[3]. ეს შეღწევა ღმერთის როგორც ტრანსცენდენციის წვდომა მტკიცებულებებით შეუძლებელია[4], რამეთუ ეს მტკიცებულებები „წარმოადგენენ ღმერთისკენ ადამიანის ამაღლების გამოცდილებაში აზროვნების თავდაჯერებულობას“ (იასპერსი, 2019: 39). მაშ, რითი უნდა მოხდეს ტრანსცენდენციის წვდომა? რა ტექნიკით უნდა შეძლოს განსაზღვრული ობიექტური ყოფიერების მქონე ადამიანმა, რომელსაც სიცხადის შენარჩუნება მხოლოდ „მკაფიო საგნობრივ ცოდნაში ძალუძს“(იასპერსი, 2019: 33), ყოვლისმომცველი ტრანსცენდენციის წვდომა? პასუხი ასეთია: „ღმერთი - არ არის შემეცნების საგანი, ის ვერ აიხსნება იძულებით-დამარწმუნებული გზით. ის უხილავია, მისი დანახვა შეუძლებელია, ის შესაძლოა მხოლოდ გვწამდეს“(იასპერსი, 2019: 41). საიდან ავიღოთ ეს რწმენა? რწმენა ადამიანის თავისუფლების გაცნობიერებიდან მოდის, რომელსაც სწამს ღმერთის არსებობა. „ადამიანი, რომელიც რეალურად აცნობიერებს საკუთარ თავისუფლებას, იმავდროულად

[3]„როგორც ეგზისტენციას, ჩვენ დამოკიდებულება გვაქვს ღმერთთან - ტრანსცენდენციასთან“(იასპერსი, 2019: 30).

[4] „დამტკიცებული ღმერთი ღმერთი არ არის, ის უკვე საგანია სამყაროში“(იასპერსი, 2019:29).

ღმერთის არსებობაშიც დარწმუნებული იქნება. ღმერთი და თავისუფლება განუყოფელნი არიან“ (იასპერსი, 2019: 41). ადამიანი არსებობს თავისუფლებაში არა საკუთარი თავის წყალობით, არამედ იმდენად, რამდენადაც მას ძალუძს თავისუფლებაში საკუთარი თავის შექმნა. და სწორედ, რამდენადაც მას ძალუძს „თავისუფლებაში საკუთარ თავად შედგომა“(იასპერსი, 2019: 43), იმდენად არსებობს მისთვის ღმერთი. ადამიანისთვის ღმერთი სარწმუნოა „არა როგორც ცოდნის შინაარსი, არამედ როგორც ის, რასაც ყოველთვის გააჩნია სინამდვილის ძალა ეგზისტენციისათვის“(იასპერსი, 2019:43). ფილოსოფოსის აზრით, ღმერთის როგორც ტრანსცენდენციის ცხადად განცდა ამ სამყაროში შეუძლებელია. ღმერთის არსებობის არცერთი მტკიცებულება არ გვაძლევს უტყუარობის გარანტიას მისი რეალურად არსებობის თაობაზე. ღმერთის, როგორც ტრანსცენდენცის განაზრება ადამიანის აზროვნებითი და ჭვრტითი უნარით კი არაა შესაძლებელი, არამედ მხოლოდ რწმენით, რომელიც „რეალობაზე გადაბიჯებით“(იასპერსი, 2019:43) ადამიანს აძლევს შესაძლებლობას იცხოვროს „რაღაციდან გამომდინარე“(იასპერსი, 2019:47). და ეს რაღაცა არის თავად სამყარო მის მრავალფეროვნებაში, ეს არის „მოვლენათა მრავალმნიშვნელოვანი ენა, რასაც ჩვენ ტრანსცენდენციის შიფრს ან სიმბოლოს ვუწოდებთ“ (იასპერსი, 2019:-47). „ღმერთის განაზრება - რწმენის განმარტებაა“ (იასპერსი, 2019:47), რომელიც არც ჭვრეტაა, არც ფლობა, არამედ ადამიანის მიერ საკუთარი ყოფიერების გადაწყვეტის თავისუფალი სივრცე. ამადენად, ყოფიერების ფილოსოფიური აღქმა - ესაა შესაძლებლობების არენა, უბიძგოს მორწმუნე ადამიანს“ობიექტურის მუდმივ მრავალ-სახეო-ბაში“ (იასპერსი, 2019:47).

უფრო ნათელი რომ გახდეს ფილოსოფოსის ნააზრევი, შევეხოთ ადამიანის მისეულ გაგებას. კ. იასპერსისათვის ადამიანი უპ.ყ. არის აქ და ახლა არსებული, კონკრეტული მუნყოფიერება (Dasain), როგორც საგნობრივი მსოფლხატის მატარებელი, როგორც კონკრეტულ გარემოში მყოფი, როგორც შემმეცნებელი და იმ საგნობრივი სამყაროს შემქმნელი, რომელშიც იმყოფება. თუმცა რადგან ადამიანი, როგორც მოაზროვნე წერს, უფრო მეტია იმაზე, ვიდრე მან შეიძლება იცოდეს საკუთარი თავის შესახებ, მას მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა კი არ განსაზღვრავს, არამედ მას შეუძლია საკუთარ თავთან მისვლა, მას ძალუძს საკუთარი ექსისტენცის შემოქმედი გახდეს, რადგან „ექსისტენცი მეტია, ვიდრე მუნყოფიერება, რადგან მისგან მივდივართ ექსისტენცთან. ექსისტენცი, როგორც ქმნადობა მუდმივი პროცესია, ე.ი. არის მუდმივი სვლა (გასვლა) საკუთარი ფაქტობრივი არსებო-

ბიდან, საკუთარი თავისა და ყოფიერებისაკენ“ (თევზაძე, 2002:437). გამოდის, ექსისტენცი როგორც ქმნადობის მუდმივი პროცესი ნიშნავს „გზაზე დგომას“, რომლის დროსაც ყოველ კითხვაზე პასუხი, თავის მხრივ, ახალ კითხვად გარდაიქმნება. სწორედ ამ გარდაქმნით, ამ ცოცხალი აზროვნებით, ადამიანი, როგორც ექსისტენცი ახდენს რეფლექსიას თავად ამ აზროვნებაზე. ადამიანი როგორც ექსისტენცი „თავისი თვითობის მუდმივ ძიებაშია“ (თევზაძე, 2002: 440), ხოლო ამ თვითობის ძიება შეუძლებელია სხვა, მეორე ადამიანთან კომუნიკაცის გარეშე. ის, თუ კომუნიკაციის შინაარსი და მნიშვნელობა როგორ განხორციელდება - დააკავშირებს ერთმანეთთან გონებებს, სულებს, ეგზისტენციებს, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მედიუმზე, იმ საშუალებებზე, რომლითაც ადამიანები დაუახლოვდებიან ერთმანეთს და ჭეშმარიტ კომუნიკაციას განახორციელებენ. სწორედ ჭეშმარიტ კომუნიკაციაში თავისუფლება თავისუფლებასთან უპირობო წინააღმდეგობაში იმყოფება ერთად დგომის წყალობით“(იასპერსი, 2019:47). ადამიანი მხოლოდ ასეთ კომუნიკაციაში წარმოადგენს საკუთარ თავს; სწორედ ასეთ კომუნიკაციაში აღასრულებს ის თავის ცხოვრებას. ჭეშმარიტი კომუნიკაცია ადამიანის ადამიანისადმი სიყვარულს ნიშნავს და სწორედ ამაშია ღმერთის სიყვარულის არსიც, „თვითობის თვითობასთან“(იასპერსი, 2019:25) სიღრმისეული კავშირი. ასე, რომ კომუნიკაციის არარსებობით შეშფოთება და ამის გაცნობიერება არის შესაძლებლობა ჭეშმარიტი კომუნიკაციისკენ სწრაფვისა. „ამგვარად, თუმცაღა ფილოსოფიის საწყისი გაოცებასა, დაეჭვებასა და საზღვრული მდგომარეობის გამოცდილებაში დევს, საბოლოოდ ეს ყველაფერი ჭეშმარიტი კომუნიკაციისაკენ ნებაში იყრის თავს“(იასპერსი, 2019:25). ჭეშმარიტი კომუნიკაცია განუყოფელია ჭეშმარიტად ყოფნისაგან. სწორედ ჭეშმარიტ კომუნიკაციაში მიიღწევა „ყოფიერების აღქმადობა, სიყვარულის გასხივოსნება, სიმშვიდის სრულყოფილება“(იასპერსი, 2019:25).

უფრო მეტიც, კარლ იასპერსის აზრით, ადამიანის შესახებ არსებული კონკრეტული მეცნიერებები იძლევიან ცოდნას მისი ცალკეული ნაწილების შესახებ. მაგ: ფიზიოლოგია სწავლობს ადამიანს როგორც სხეულებრივ არსებას; ფსიქოლოგია - როგორცფსიქიკის მქონეს; სოციოლოგია - როგორც სოციალურ არსებას; ისტორია - როგორც ისტორიულ არსებას, რომლის ისტორიულობის წვდომა ტრადიციების კრიტიკული გააზრების გზითაა შესაძლებელი. თუმცა „ადამიანის კვლევამ ჩვენ სხვადასხვა ცოდნა

შეგვძინა, მაგრამ არ მოუცია ცოდნა ადამიანის შესახებ მთლიანობაში“ (იასპერსი, 2019:59).

ადამიანის მთლიანობაში შეცნობა გულისხმობს საკითხის დასმას იმ კუთხით, თუ რამდენადაა შესაძლებელი ადამიანის შეცნობა ამომწურავად იმ ჩარჩოს ფარგლებში, რაც მასში შეცნობადია. თუ არსებობს ადამიანში რაღაც ისეთი „რაც არანაირ საგნობრივ შეცნობას არ ექვემდებარება, თუმცა ყოველთვის რჩება ადამიანისთვის გარდუვალ შესაძლებლობად“.

საკუთარი თავის რეფლექსია ადამიანს ორი გზით შეუძლია. პირველი - როგორც კვლევის ობიექტი და მეორე - როგორც „თავისუფლების ეგზისტენცია, რაც არანაირი კვლევისთვის არ არის მისაწვდომი“(იასპერსი, 2019:59). ერთი შეხედვით, ადამიანი მრავალმხრივი კვლევის ობიექტია, გვიჩნდება განცდა, რომ მის შესახებ ამომწურავი საგნობრივი ცოდნა გვაქვს, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან „ადამიანი არსებითად მეტია, ვიდრე მან შეიძლება იცოდეს საკუთარი თავის შესახებ“(იასპერსი, 2019:59)

ადამიანის თავისუფლება მარტოოდენ მის მიმართ წამოყენებული მოთხოვნების აღიარებაში კი არაა, არამედ ამ მოთხოვნების შესრულებაში და პასუხისმგებლობაში მათი შესრულების გადაწყვეტილრების მიმართ. ადამიანის მიერ თავისუფლების ასეთ გაცნობიერებას ის მიყავს თვითშემეცნებისკენ. „ადამიანი არის არსება, რომელიც ღმერთთან დამოკიდებულებაში იმყოფება“ (იასპერსი, 2019:59). ეს ნიშნავს: ადამიანი როგორც აქ ყოფნა, როგორც აქ, ამ დროში და სივრცეში მყოფი, წარმოადგენს შეცნობად საგანს. მაგრამ ადამიანის ყოფიერება არ არის მხოლოდ ვიტალური ყოფნა; ის ნახტომს აკეთებს ამ ვიტალური მტკიცებიდან საკუთარი თავისკენ; ანუ იქით, რასაც ნამდვილად არსებობა, ნამდვილად ყოფნა ქვია. ადამიანი ნამდვილად არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ის თავისუფლებაში არსებობს. თავისუფლებაში არსებობა კი „ღმერთდამოკიდებულებას“(იასპერსი, 2019: 61) ნიშნავს[5]. „ღმერთი ჩემთვის იმ ოდენობით არსებობს, რა ოდენობითაც ვარსებობ მე ნამდვილად“(იასპერსი, 2019:61). ადამიანის თავისუფლება იმდენადაა ნამდვილი, რაც უფრო მეტად სწამს მას ღმერთი. თავისუფლების მწვერვალზე ის საკუთარ ყოფიერებას აღიქვამს „როგორც იმას, რაც ტრანსცენდენციით არის მოცემული“(იასპერსი, 2019:61).

[5] „ადამიანის ყოფიერება, თავისუფლება - ეს ასევე ღმერთდამოკიდებულებაა“. (იასპერსი, 2019: 62).

ადამიანის ცნობიერების შეზღუდულობა მისი ცოდნის საზღვრებს განაპირობებს. სწორედ ამიტომ, ის სულ უფრო მეტად ენდობა იმ მიმართულების განმსაზღვრელ დირექტივებს, რომელსაც საკუთარი თავისუფლებისათვის მოიპოვებს „თავად ამ თავისუფლების წყალობით, თუკი ის ღმერთანაა დაკავშირებული“(იასპერსი, 2019:62). კითხვაზე, თუ რომელია მიმართულების განმსაზღვრელი დირექტივა, პასუხი თავის მხრივ, გულისხმობს იმის გააზრებას, რომ სწორედ ღმერთია „უკანასკნელი ხელმძღვანელი[6] საწყისი“ (იასპერსი, 2019:63). ამ უკანასკნელის გააზრება თავდაჯერებულობას მატებს ადამიანს. მოცემულ შემთხვევაში თავდაჯერებულობა აღიქმება როგორც „თავისუფლება მოქმედების უნარის თვალსაზრისით“ (იასპერსი, 2019:63). და რაც უფრო მყარი და ცხადია ადამიანის თავდაჯერებულობა, „მით უფრო ცხადი ხდება მისთვის მისი ტრანსცედენცია, რომლის წყალობითაც არის ის“(იასპერსი, 2019:63). მაშასადამე, გამოდის, რომ მხოლოდ ის დირექტივაა მისაღები და მიმართულების განმსაზღვრელი, რომელიც ღმერთთან, „ტრანსცენდენტულ საფუძველსაა დაკავშირებული“ (იასპერსი, 2019:64).

ადამიანი საკუთარი ქმედებების რეფლექსიის გზით ხელმძღვანელობს, აფასებს რა საკუთარ თავს და ამ შემფასებელ თვითაღქმაში ის „ირიბად იძენს ღმერთის განს-ჯას“ (იასპერსი, 2019: 64), რაც არასწორია, რადგან ადამიანი ცალსახად დაყრდნობილი მხოლოდ საკუთარ მსჯელობას საკუთარ ქმედებაზე ვერასოდეს ვერ შეძლებს მის ობიექტურ შეფასებას. ამას ვერც ის ადამიანები შეძლებენ, რომლებიც კონკრეტული პერსონისთვის მნიშვნელოვანია. ერთადერთი სწორი შეფასება, უფრო მეტიც, გადამწყ-ვეტი მნიშვნელობის, ადამიანისათვიის „შესაძლებელია ღმერთის დასკვნა ყოფილიყო“(იასპერსი, 2019: 65). საკუთარი თავის იმედად ყოფნა მიუთითებს „ღრმა კავშირზე იმასთან, რაც ნამდვილია“(იასპერსი, 2019:65), იმასთან, რაც ტრანსცენდენციის განმსაზღვრელი დირექტივაა[7]. ამ დირექტივებით შეცნობილი სამყაროა ნამდვილი რეალობა, სინამდვილე, რაც ცხადდება „ერთი პიროვნების მეორესთან კომუნიკაციაში“ (იასპერსი, 2019:67). სწორედ მეორე პიროვნებასთან სიღრმისეული კომუნიკაციით ხდება „პირად ღმერთთან შეხვედრა“ (იასპერსი, 2019:67). „ღმერთი მოიზიდება ჩვენ-

[6] „ადამიანს შეუძლია იცხოვროს ღმერთის მიდევნებით“(იასპერსი, 2019:63)

[7] თუმცა ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „ღმერთის მიმართულების განმსაზღვრელი დირექტივები ვერ გახდება ფლობის საგანი“ (იასპერსი, 2019:67)

კენ მისი პირადი ყოფიერების ასპექტში, იმავდროულად კი ჩვენ ავმაღლ-დებით არსებამდე, რომელსაც ამ ღმერთთან საუბარი ძალუძს“(იასპერსი, 2019:67). ღმერთის რწმენა არ დაიყვანება საყოველთაოდ აღიარებული მო-თხოვნის და ამ უკანასკნელის ნორმად მიღებაზე. ღმერთის რწმენის გარე-შეც შესაძლებელია მაგალითად, ათი მცნების აღსრულება. ასევე, ღმერთის რწმენა არ გულისხმობს ისტორიული პრეტენზიის „ასე უნდა გაკეთდეს“-აღსრულებას.[8]ღმერთის რწმენა და ღმერთთან საუბარი დამოკიდებულია იმ სიღრმეებზე, რომლითაც ადამიანი მიმართულების გა-ნმსაზღვრელ დი-რექტივებს „საკუთარი გამოცდილებით შეიცნობს“(იასპერსი, 2019:67). მხო-ლოდ ამ გზითაა შესაძლებელი იქცე ადამიანდ: „იყო ადამიანი - ნიშნავს იქცე ადამიანად“(იასპერსი, 2019:69).

მივუბრუნდეთ სტატიის დასაწყისში დასმულ პრობლემას და პასუ-ხი გავცეთ კითხვას, მაინც რაშია ცხოვრების ფილოსოფიური წესი? ადა-მიანი, რომელიც არ სვამს კითხვებს: რა ვარ მე? რა გამომრჩა? რა უნდა გა-ვაკეთო?(იასპერსი, 2019:114),მუდმივად ივიწყებს თავის თავს და ეს პრო-ცესი უფრო ღრმავდება ტექნიკურ სამყაროში. და „იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანი ადგება გზას, რომელსაც ის საკუთარ თავთან მიჰყავს, სამ-ყაროს კოლოსალურობა კვლავ ითრევს მას არაფრის მომცემი მუშაობისა და თავისუფალ დროს არაფრის მომცემი გართობის ყოვლისშთანმთქელ მანქანურობაში“ (იასპერსი, 2019:114). თუმცა, მეორე მხრივ, საკუთარი თა-ვის მიმართ უყურადღებობა, საკუთარი თავის დავიწყებისადმი მიდრეკი-ლება იმთავითვე ჩადებულია ადამიანში. და იმისათვის, რომ საბოლოოდ არ დაიკარგოს, უდიდესი ძალისხმევა სჭირდება მას, რათა მუდმივად ამო-ქაჩოს თავისი თავი მშვიდი, კომფორტული, უზრუნველი სამყაროული მდინარებიდან.

ადამიანს საკუთარი თავის ძიებაში ფილოსოფია ეხმარება, რამეთუ „ფილოსოფია - ეს არის გადაწყვეტილება პირველსაწყისის გაღვიძებისა, გა-დაწყვეტილება კვლავ მოიპოვო საკუთარი თავი და შემდეგ, ქმედებაში, შეძლებისდაგვარად დაეხმარო საკუთარ თავს“ (იასპერსი, 2019:114). დაეხ-მარო საკუთარ თავს ნიშნავს ცხოვრების ფილოსოფიური წესის აღიარებას, რომლის არსი მდგომარეობს კონკრეტული ამოცანების, დღის მოთხოვნე-ბის, საგნობრივი სამყაროს არ დავიწყებას, არამედ შეთვისებას, შინაგანად

[8] ამ ისტორული პრეტენზიის „წყალობით“ ბევრი უსამართლო ქმედება განხორცი-ელებული კაცობრიობის ისტორიაში.

დამუშავებას, მის განმარტებას. ამის განხორციელება კი შესაძლებელია ორი გზით: ან მედიტაციის გზით, ან „სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის გზით, ერთობლივ მოქმედებაში, ერთობლივ საუბარში, ერთობლივ დუმილში საკუთარი თავის გაგების ყოველი შესაძლებლობის გამოყენებით“ (იასპერსი, 2019:115).

საკუთარი თავი და თავად ყოფიერების წვდომა მედიტაციის, ჩაფიქრებული ფილოსოფიური ჭვრეტის გზით ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ყოველთვის რჩება შესაძლებლობა განმარტებისათვის. და მეორე, „ჩაკვირვებული განსჯა აზრის ძალას გვასწავლის“(იასპერსი, 2019:119), ხოლო „აზროვნება - ადამიანის ყოფოერების დასაწყისია“(იასპერსი,2019:119).

ჩაფიქრებული განსჯის სამი შემადგენელი: თვითრეფლექსია (საკუთარი თავის მიმართ კონტროლის გაცნობიერება), ტრანსცენდირებადი რეფლექსია (ფილოსოფიური მეთოდის მეშვეობით, „ჭეშმარიტ ყოფიერებაში, ღვთაებაში დარწმუნება“ (იასპერსი, 2019:116) და „კონკრეტული ამოცანისთვის ნამდვილის სტატუსის მინიჭება“ (იასპერსი, 2019:117), ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა მიზნის მისაღწევად აუცილებელია მეორე გზის - კომუნიკაციის ჩართულობა, რადგან „ის, რაც კომუნიკაციაში არ ხორციელდება ჯერ კიდევ არ არსებობს; იმას, რაც ჯამში კომუნიკაციას არ ეფუძნება, საკმარისი საფუძველი არ გააჩნია“ (იასპერსი, 2019:117). საკუთარი თავის გაცემით საკუთარი თავის მოპოვება უსაზღვრო ჩაკვირვებული რეფლექსიის სამივე შემადგენლისა და კომუნიკაციითაა შესაძლებელი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ცხოვრების ფილოსოფიური წესი, ფილოსოფიური მეცადინეობა - „ერთდროულად ცხოვრების სწავლაცაა და სიკვდილის ცოდნაც“ (იასპერსი, 2019:118). ცხოვრების სწავლა - ცხოვრებაში შებიჯებაა „ხედვის, კითხვის დასმისა და პასუხისმგებლობის კისრების“ (იასპერსი, 2019:118) გზით. სიკვდილის ცოდნა კი - სამყაროს მრავალმნიშვნელოვანი ენის კოდების გაცნობიერებაა, რომლის დროსაც „კითხვის ნიშნის ქვეშ მდგომი არსებობა პირველად ხდება სისხლსავსე, სამყარო - მშვენიერი, თავად არსებობა კი სრული“(იასპერსი, 2019:119). უფრო მეტიც, „სიკვდილის უნარი ჭეშმარიტი ცხოვრების პირობას წარმოადგენს. ცხოვრების სწავლა და სიკვდილის ცოდნა ერთი და იგივეა“(იასპერსი, 2019:119).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაკვირვებული განსჯა აზროვნების ძალას გვაგრძნობინებს, აზროვნებისას, რომელიც საგნობრივი სამყაროს შეცნობის საფუძველია და რომელიც „გონისმიერი შემეცნების საზღვრე-

ბისკენ მიემართება“ (იასპერსი, 2019:119). მართალია, ამ საზღვრებზე შემეცნება წყდება, თუმცა არ წყდება აზროვნება. ცხოვრების ფილოსოფიური წესი ნიშნავს იმ ჭეშმარიტი იმპულსების გაღვიძებას, „რომლებიც ერთდროულად აზროვნებასაც წარმოადგენენ და მოქმედებასაც, შინაგან და გარეგან აქტებს ერთად“ (იასპერსი, 2019:120). სწორედ გაღვიძებული აზრების განხორციელების მეშვეობით ცხოვრობს ადამიანი, მისი ცხოვრება აზრით იჟღინთება. აზრით გაჟღენთილი ცხოვრება კი „ადამიანის ყოფიერებისა და ფილოსოფიის განუყოფლობას“(იასპერსი, 2019:120) ნიშნავს, ადამიანის ყოფიერების ფილოსოფიური ხასიათით გამსჭვალულობას მიუთითებს„„რომელმაც ეს აზრი განიაზრა“(იასპერსი, 2019:120).

აუცილებლად გასათვალისწინებელი ის, რომ ცხოვრების ფილოსოფიური წესი უკავშირდება რისკს „დაიკარგო ხარვეზებში“ (იასპერსი, 2019: 121). ხარვეზების გასამართლებლად კი შეიძლება გამოყენებულ იქნას თავად ფილოსოფიური პრინციპები, ის შეიძლება შეინიღბოს ექსისტენციალური განმარტების ფორმულებით: სიმშვიდე პასიუ-რობად იქცეს/განიმარტოს, ნდობა-ჰარმონიად, სიკვდილის ცოდნა - სამყაროდან გაქცევად, გონება - ყოვლისდამშვებ გულგრილობად (იასპერსი, 2019:121). ცხოვრების ფილოსოფიური წესი ნიშნავს „საკუთარ თავში ამ ხარვეზების განჭვრეტისა და მათი გადალახვის სურვილს“(იასპერსი, 2019:121), რომელიც მიღწევადია ღია და უპირობო კომუნიკაციის პირობებში კრიტიკული აზრის არსებობით, რომლიც (კრიტიკული აზრი) ადამიანს იმიტომ კი არ სურს, რომ დაემორჩილოს, არამედ იმიტომ, რომ „აჩქარდეს საკუთარი თითგასხივოსნების მიმართულებით“ (იასპერსი, 2019:121). სწორედ ამგვარ კომუნიკაციაში ადამიანი, რომელსაც სურს მისდიოს ცხოვრების ფილოსოფიურ წესს, „ჭეშმარიტებასა და მოულოდნელ თვითდადასტურებას პოულობს სხვასთან თანხმობაში“ (იასპერსი, 2019:121). აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: არ არსებობს სრულყოფილი კომუნიკაცია. „კომუნიკაცია უნდა გვწამდეს, ის არ შეიძლება ვიცოდეთ. ის მყისვე იკარგება, როგორც კი ჩათვლიან, რომ ფლობენ მას“(იასპერსი, 2019:121).

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხოვრების ფილოსოფიური წესის მიზანია არა რაიმე მდგომარეობის მიღწევა, რომელსაც მიაღწევ რა, სრუ-ლყოფილად მიიჩნევ, არამედ მუდმივი „გზადყოფნა“ (იასპერსი, 2019: 122), ეგზისტენციალური ძალისხმევის გამოვლენა დროის გარღვევისა, რომელიც მხოლოდ პოლარულ მდგომარეობაშია შესაძლებელი. კერძოდ, მაშინ, როცა თითოეული, კონკრეტული ადამიანის სპეციფიკურო-

ბის გათვალისწინებით, ვრწმუნდებით კაცობრიობის ყოფიერებაში, როგორც ასეთში. მაშინ, როცა განვიცდით რა ჩვენს ეპოქას, როგორც ყოვლისმომცველ რეალობას, ძალგვიძს „ჩავწვდეთ მას ისტორიის ერთიანობაში, ისტორიის ერთიანობაში კი - მარადიულობას“ (იასპერსი, 2019:123). მაშინ, როცა მუდმივი სწრაფვის პროცესში ვაღწევთ „ყველა ჩვენი მდგომარეობის საფუძვლად მდებარე სულ უფრო ცხად პირველსაწყისს“(იასპერსი, 2019: 123), რომელიც (ეს პირველსაწყისი) ტრანსცენდენციის სახით ადამიანის ეგზიტენციაში თანაარსებობს (იასპერსი, 2019:123).

რადგან ადამიანის არსი - გზადყოფნაა, მან ამ გზაზე და-მოუკიდებლად უნდა გაბედოს სიარული, თანაც ისე, რომ ვერასოდეს ვერ იქცეს „რაიმე დოქტრინის ობიექტად“ (იასპერსი, 2019:124). “გზაზე დგომა“ პროცესია, როდესაც ცოცხალი აზროვნებაც ხორციელდება და იმავდროულად, რეფლექსია ამ აზროვნებაზე. საბოლოოდ, ადამიანი სინამდვილის თანაზიარი ხდება სწორედ იმიტომ, რომ კონცენტრირდება საკუთარი თავის აღმოჩენასა და ფორმირებაზე. საკუთარი თავის ქმნადობით კი ის მნიშვნელობას ანიჭებს იმ სამყაროს, რომლსაც მუდმივად ქმნის როგორც კულტურული არსება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბუაჩიძე (2003) ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი. გამომცემლობა: „კოლორი“. თბილისი;

ბუაჩიძე (2013) ბუაჩიძე თ., თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან, გამომცემლობა: „კარპე დიემ“. თბილისი;

მათიაშვილი (2018) დიდი წიგნი ფილოსოფიაზე, თარგმანი ლაშა მათიაშვილი, გამომცემლობა: „პალიტრა L“, თბილისი;

იასპერსი (2019) იასპერსი კარლ ფილოსოფიის შესავალი., გამომცემლობა: „აქტი“. თბილისი;

იასპერსი (2019) იასპერსი კარლ ნიცშე და ქრისტიანობა. გამომცემლობა: „აქტი“. თბილისი;

თევზაძე (2002) თევზაძე გ., XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

ტერ-მინასოვა (2017)ტერ-მინასოვა ს. ,ენა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია. გამომცემლობა: „უნივერსალი“. თბილისი;